

# ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

## სხდომის ოქმი N24

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

26.09.2018წ.

- ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: -*ალექსანდრე ლილუაშვილი*, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, გია ხარაბაძე, შალვა ლორთქიფანიძე, ივანე კორძაძე, გელა ღვიტიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

- სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, ოლეგი მიქელთაძე, მალხაზ ცერცვაძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, თენგიზ დვალიშვილი, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი -  
*ლუიზა ჯოგლიძე*.

- საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის  
მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში -*ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის  
უფროსი-*ზვიად კაპანაძე*;

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

/მომხს. გელა ჩიკვაძე/

2. „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე.“

/ მომხს. ზვიად კაპანაძე/

*დაადგინეს:* დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

*მოისმინეს:*

*მოისმინეს:* დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გელა ჩიკვაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. კერძოდ, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, გენდერულ საკითხებზე ვანის მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლება, მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირის მიერ შიდა სამუშაო გეგმის მომზადება, მუნიციპალიტეტის საკადრო პოლიტიკაში გენდერული მიდგომების გათვალისწინება, სქესის ნიშნით სეგრეგირებული სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, მისი პერიოდული განახლება, გენდერული თანასწორობის შესახებ საინფორმაციო ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და კიდევ სხვა საკითხები.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

*გადაწყვეტეს:* დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული

• თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“

(დანართი: განკარგულება N27 63)

*მოისმინეს:* დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ (მომხსენებლის ზვიდ კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებების თაობაზე“.

მომხსენებელმა წარმოადგინა საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი სამი ობიექტი თავისი საწყისი ფასებით.

1. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. დიხაშხოში მდებარე 64 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 31.07.26.153, 1300 (ათას სამასი) ლარი;

2. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. უხუთში მდებარე 16 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 31.12.21.174, 350 (სამას ორმოცდაათი) ლარი;

• 3. ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. უხუთში მდებარე 20 კვმ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 31.12.21.151, 420 (ოთხას ოცი)

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

წინააღმდეგი – არცერთი.

**გადაწყვეტის:** დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე.“

(დანართი: განკარგულება N27 62).

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე

